დასკვნა 3/49

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით

ქ. წყალტუბო 09.11.2015

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, მარიამ ბალანჩივაძემ, განიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მამუკა მატარაძის 2015 წლის 02 ნოემბრის №4116 /31 წერილი, რომელიც შეეხება გამარტივებული შესყიდვის წესით 2015 წლის 18 სექტემბერს გაფორმებული №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნას.

ზემოთ აღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2015 წლის 18 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილსა და შპს «თაგი»-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №208 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთისა და სოფელ გუმბრის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 20140 (ოცი ათას ას ორმოცი) ლარს.

ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით' არსებული პერიოდი.

2015 წლის 12 ოქტომბერს შპს «თაგი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №208-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთისა და სოფელ გუმბრის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შესახებ №7901 წერილი.

2015 წლის 12 ოქტომბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებმა ირინა ჯოჯუამ, მერაბ კუხალაშვილმა და კობა გოგიძემ შეადგინეს ინსპექტირების აქტი, რომლის მიხედვითაც ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შპს „თაგი"-ის მიერ №208 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2015 წლის 20 ოქტომბერს შპს «თაგი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №208-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთსა და სოფელ გუმბრაში შესრულებული სამუშაოების (საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია) ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ №8073 წერილი, რომელსაც თან ახლავს შესრულებული სამუშაოების ფორმა №2, ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს „სანდო"-ის მიერ 2015 წლის 13 ოქტომბერს შედგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა №40, შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისა და შესაბამისი სოფლის რწმუნებულების ხელმოწერები, აგრეთვე ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის №103 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «თაგი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 10 თებერვლის №31 204 ბრძანებით (ცვლილება №31 550 28.04. 2015) შექმნილ ჯგუფს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, საერთო თანხით 19878 (*ცხრამეტი ათას რვაას სამოცდათვრამეტი*) ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ პატრიკეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა №2) 44 კგ საღებავის ერთი ერთეულის (კგ) ფასად აღებულია 4.00 ლარი, ხოლო წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით ფორმა №2 -ში ამ უკანასკნელის ერთი ერთეულის ფასად შეყვანილი უნდა იყოს 3.18 ლარი, სოფელ გუმბრის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა №2) 46 კგ საღებავის ერთი ერთეულის (კგ) ფასად აღებულია 4.00 ლარი, ხოლო წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების მიხედვით ფორმა №2 -ში 16 კგ. საღებავის ერთი ერთეულის ფასად შეყვანილი უნდა იყოს 3.18 ლარი, ხოლო 30 კგ. საღებავის ერთი ერთეულის ფასად 3.38 ლარი, უნდა აღინიშნოს, რომ №208 ხელშეკრულების ხელმომწერ მხარეებს შორის არ შემდგარა შეთანხმება გაუთვალისწინებელი ხარჯის გამოყენების შესახებ, თუმცა წარმოდგენილ ფორმა №2-ში შეყვანილია გაუთვალისწინებელი ხარჯიც, საერთო თანხით 136.88 (ას ოცდათექვსმეტი ლარი და 88 თეთრი) ლარი. წარმოდგენილი

ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და №208 ხელშეკრულების პირობების მიხედვით შპს «თაგი»-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 19636.83 (ცხრამეტი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 83 თეთრი) ლარს.

გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2015 წლის 30 ოქტომბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის №103 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «თაგი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №31 204 ბრძანებით (ცვლილება №31 550 28.04. 2015) შექმნილ ჯგუფს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ნაწილობრივადაა შესაბამისობაშია 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და №208 ხელშეკრულების პირობების მიხედვით შპს «თაგი»-ის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 19636.83 (ცხრამეტი ათას ექვსას ოცდათექვსმეტი ლარი და 83 თეთრი) ლარს.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

მთავარი სპეციალისტი: მარიამ ბალანჩივაძე

ქ. წყალტუბო

ს ქ ო

12. 10. 2015 წ.

ეს აქტი შეადგინეთ იმის შესახებ, რომ ინფორმაციულ ბიულეტენში და ელექტრონულ სამსახურის ინფორმაციულ ბიულეტენში გამოქვეყნდა მოსახლეობის ინფორმირებულობა ითვალისწინებს ერთ ადგილზე, ჩასვა ინფორმაცია და ასევე ფოთლებზე, მოვლილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და შ.პ.ს „ოაზი“-ს ქონის ტერიტორიაზე 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერება.

დათვალიერებისას დადგინდა, რომ წარმოადგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია.

ინსპ. ვალერიანა ხელმოწერილია.

ი. ჯოჯუა

ქ. ყუბანეიშვილი

ს. ფოფორი

შპს „თაგი"

LTD „TAGI"

№ 124
20 . 10. 2015წ.

8073
20 . 10 2015

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბ-ნ კ. მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე!

წარმოგიდგენთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. „თაგი"ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება № 208 18.09.2015წ-ით გათვალისწინებული სამუშაოების საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნას და შესრულებული სამუშაოების აქტებს ფ #2-ებს საერთო თანხით 19993,67ლარზე გთხოვთ, აგვინაზღაუროთ გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

8073

პატივისცემით
შპს „თაგი"ს დირექტორი; ვ.ნატრიაშვილი

საქართველო; 4600; ქ. ქუთაისი, არაგვისპირელისქ №34
ტელ: 899 10-19-77; 599-22-96-75
8(431) 21-37-11
vaxtangn@yahoo.com

№34 Aragvispireli str. Kutaisi Georgia4600
TEL: 899-10-19-77; 899 22-96-75;
8(431) 21-37-11
vaxtangn@yahoo.com

შპს „თაგი"

LTD „TAGI"

№ 123
12 . 10. 2015წ .

3056
20 - 10 2015

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბ-ნ კ. მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე!

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ.პ.ს. „თაგი"ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები № 208 18.09.2015წ-ით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია, გთხოვთ, გამოყოთ შესრულებული სამუშაოთა მიმღები კომისია და შესაბამისად აგვინაზღაუროთ გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

პატივისცემით
შპს „თაგი"ს დირექტორი; ვ.ნატრიაშვილი

საქართველო; 4600; ქ. ქუთაისი, არაგვისპირელისქ №34
ტელ: 899 10-19-77; 599-22-96-75
8(431) 21-37-11
vaxtangn@yahoo.com

№34 Aragvispireli str. Kutaisi Georgia4600
TEL: 899-10-19-77; 899 22-96-75;
8(431) 21-37-11
vaxtangn@yahoo.com

წყალტუბოს მმუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და სოფელ გუმბრაში საბავშვო ბაღების
რეაბილიტაციის სამუშაოების
მიღება-ჩაბარების
აქტი

30 ...10..... 2015 წელი

ქ. წყალტუბო

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა ერთის მხრივ შპს „თაგი"-ს დირექტორის ვახტანგ ნატრიაშვილის და მეორეს მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 თებერვლის №31 204 ბრძანებით, ცვლილება (№31 550 28.04.2015) შექმნილმა ჯგუფმა, შემადგენლობით: მამუკა მატარაძემ, კახაბერ ფანცხავამ, მერაბი კუხალაშვილმა, ზურაბ მურვანიძემ იონა ჯოჯუამ და კობა გოგიძემ, შპს „სანდო"-ს მიერ მომზადებული №40 (13.10 .2015) საიჟინრო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოვახდინეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „თაგი" - ს შორის, 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, წყალტუბოს მმუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და სოფელ გუმბრაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარება მთლიანი ღირებულებით 19878 (ცხრამეტიათას რვაას სამოცდათვარამეტი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შპს „თაგი" - ს ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

შპს „თაგი" - ს მიერ მომზადებული ტექნიკური დოკუმენტაცია და შპს „სანდო"-ს მიერ მომზადებული №40 (13.10 .2015) საიჟინრო ექსპერტიზის დასკვნა შესაბამისობაშია.

ჩააბარა:

შპს „თაგი"-ს

დირექტორი ვ. ნატრიაშვილი

ჩაიბარა:

ჯგუფი:

შემადგენლობით

მ.მატარაძე (ჯგუფის უფროსი)

კ.ფანცხავა

მ.კუხალაშვილი

ზ.მურვანიძე

ი.ჯოჯუა

კ.გოგიძე (მდივანი)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი №103

ქ. წყალტუბო 30.10. 2015 წელი

სხდომას ესწრებოდა - ჯგუფის უფროსი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მამუკა მატარაძე, ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი კახაბერ ფანცხავა, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ზურაბ მურვანიძე, ინფრასტრუქტურისა განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტები: იონა ჯოჯუა, მერაბი კუხალაშვილი და კობა გოგიძე(მდივანი).

დღის წესრიგი -

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი"-ს შორის 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

მოისმინეს

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის კახაბერ ფანცხავამ მოხსენება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი "-ს შორის 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

კერძოდ აღნიშნავს 2015 წლის 12 ოქტომბერს №7901 წერილით მოგვმართა მიმწოდებელმა და ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთსა და სოფელ გუმბრაში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარებას.

წარმოდგენილია მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო საბუთები, შესრულებული სამუშაოს აქტები, შპს ,,სანდო"-ს მიერ გაცემული №40 (13.10.2015) საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა და მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს სამუშაოების მიღება- ჩაბარება.

აზრი გამოთქვა ჯგუფის უფროსმა მამუკა მატარაძემ და წევრმა იონა ჯოჯუამ აღნიშნეს სამუშაოები შესრულებულია ხელშეკრულების პირობების თანახმად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს მიღება- ჩაბარება.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და

დაადგინეს

1 მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი"-ს შორის 2015 წლის 18 სექტემბრის №208 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარება და შედგეს მიღება - ჩაბარების აქტი.

ჯგუფის უფროსი: მამუკა მატარაძე

ჯგუფი წევრები: კახაბერ ფანცხავა

ზურაბ მურვანიძე

მერაბი კუხალაშვილი

იონა ჯოჯუა

სხდომის მდივანი: კობა გოგიძე